ეროვნული ბიბლიოთეკა


# სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 1135

დამატების № 200

კვირა, 9 მარტი 1914 წ.




უ ს ი ნ ა თ ლ ო.

## სიკვდილის აჩრდილი

(ეტიუდი)

(ძღვნი მკურნალს კონსტანტინე მალხაზის ძეს ელიოზიშვილს).

ვლის ფერფლებს ჰაერი დაეწმინდათ, დედამიწაზე ფიფქებ გაპენტილიყვნენ სუდარაში შეხვეულ მიდამოს გაცრიაგიბუ ცა ნაღვლიანად ჩამოჰყურებდა. თოვლის სითეთრეში ერ ადგილს ნაძვის ხეებს ჰაერი გაეპოთ და ზევით აჭრილიყვნ, თავმოწონებით შეჰყურებდნენ შემოძარცულ ბუნებას, ჩურჩულებდნენ.

— ბუნ, არ მომკვდარა, სძინავს; რომ მომკვდარიყო, არც ჩვენ შენჩებოდა ხასხასი სიმწვანე, ნიშანი სიცოცხლე განახლებისა!

— ვინ გაუძლებს ამ წამებას!.. ჯერ სად ჯარის გაზაფხული! დაიკვნესა ამდროს იქვე ახლო მდგომარე ვაშლის ხემ და ათრთოლდა. მის გაშიშვლებულ ტოტებს ყინულები მარწუხებად შემოსჭეროდნენ, სულს უგუბებდნენ. სწორედ ამ დროს შეესმა ასეთივე ჩივილი თვის პაწია შვილისა, რომელიც ყლორტად ამოჰფარებოდა მუხლ ქვეშ, შვილის ჩივილი უარესად გულს უსერავდა ვაშლის ხეს და სასოწარკვეთილს დრო და დრო ყინულის ცვარები ცრემლებად სდიოდა. ალვის ხე კი მთლად გაშეშებული თვალუწვდენ სიმაღლემდე ასულიყო, ცის სამყაროს შეჰკითხებოდა საშინელ აწმყოზე. ცისა სამყაროც გულს უხსნიდა, ლეგა ღრუბლებში ახვევდა და ეჩურჩულებოდა:

— ნუ გეშინიან! გამაგრდი, გაუძელი და გაზაფხული კვლავ მოგივაო!

— ქივქავ! შეხე სად შერჩენილა სიცოცხლე! აჭყრიპინდნენ ბეღურები და გუნდ-გუნდად მიესივნენ ნაძვებს, ტოტიდან ტოტებზე ფრიალებდნენ. გაამაყებული ნაძვის ხეები ფართედა შლიდნენ მწვანე შტოებს და ცელქ სტუმრებს უმყუდროებდნენ. ხანდისხან ზღვის ტალღასავით მონაბერი ქარი ძვალსა და რბილში უვლიდა ნაძვის ხეებს და მათი შრიალი ჰკვეთავდა გაყინულ ჰაერს.

— ბუჰ! გაისმა ამ დროს. თითქო თოფმა იჭექაო. ნაძვებზე მოფრიალე ბეღურები შეშფოთდნენ, წამოიშალნენ და ხეებს მოშორდნენ. ზოგი მათგანი შემოსხდნენ სახლის სახურავზე და გაუბედავად, ალმაცერად დაიწყეს ცქერა იქით, საიდანაც მოისმა ეს უცნაური ხმაურობა. ხმაურობა აღარ განმეორდა, გული დაიმშვიდეს, უფრო მიაკვირდნენ აივანის იატაკზე გართხმულ ნახევარზე გაბნედილ ბეღურას, რომელსაც ნისკარტი ვაღლო, ეტყობოდა ძლივსღა სუნთქავდა.

— ქივქავ! ეს რა ამბავია! კვლავ ახმაურდნენ ბეღურები და მსწრაფლ გაჩნდნენ გაჭირვებულ ამხანაგის ახლო.

— რა დაგმართვია, ძმობილო? ეკითხებოდნენ ესენი ბეღურას და თანაც გარს უხტოდნენ. ბეღურა ცოტათი შეინძრა, გული გაშურებით უფეთქავდა.

— მშვიდობით! ვკვდები! ძლივას წაიჭყრიპინა მან. ბეღურები კი ისევ გარშემო უხტოდნენ, თითქო ჭრილობას უსინჯავდნენ, მაგრამ ავადმყოფს ნატკენი არ სად უჩნდა. ამ დროს მოფრინდა ერთი ბეღურა და ნისკარტით წინ დაუგდო თოვლის ნამცეცი. გაჭირვებულმა ბეღურამ ჩაჰკრა რამდენჯერმე ნისკარტი. ბეღურები აღარა შორდებოდნენ, განაგრძობდნენ გამოკითხვას. ავადმყოფმა ბეღურამ თავი მიიღო ოთახის სარკმლისკენ და სუსტად წარმოსთქვა:

— აიქ... იმ შუშასთან უცბად მივფრინდი... მინდოდა შეხედა, გამეგო შიგ რა ამბავი ხდება... და... აქ ვეღარ დაამთავრა, შიშისგან გააკანკალა, ხმა ჩაუწყდა.

— მერე?.. იქ... იქ... რა იყო?.. მიატანეს ერთხმად შეშფოთებულმა ბელურებმა და კვლავ შეშინებულებმა აქეთ-იქით ცქერა დაიწყეს.

— იქ, უცბად სიკვდილის აჩრდილი დავინახე.. შემზარა, გონება ამირია; მინდოდა საჩქაროდ მოვშორებოდი, მაგრამ შიშისგან თავრეტდასხმულმა იმის მაგივრად, რომ უკან დამეწია, საშინელის ძალით მივეჯახე სარკმლის შუშას... და... გულში თითქო რაღაც ჩამწყდა, თვალთ დამიბნელდა და დავეცი აქ... როგორც იყო დაამთავრა ბელურამ და თოვლს კვლავ ნისკარტი ჩაჰკრა, თითქო მასში ხედავდა ხსნას. ბელურას ნელ-ნელა გონება უბრუნდებოდა, უფრო გაბედვით მოძრაობდა.

— სიკვდილის აჩრდილი ოთახში იყო შენთან ხომ არა?

— მართალია, მაგრამ მაინც შემეშინდა! უპასუხა ცოტათი მოღონიერებულმა ბელურამ.

— მხდალი ყოფილხარ ძამიავ, აბა მიყურე როგორ შევიხედო. შესძახა ერთმა და მიფრინდა სარკმელთან და დაიწყო ცნობის მოყვარეობით შიგ ყურება. ამასობაში დარეტიანებულმა ბელურამ ფრთები გაშალა და ხეზე გადაფრინდა, სხვებიც უკან გაჰყვნენ. ცნობის მოყვარე ბელურა კი კვლავ განაგრძობდა სარკმელში ცქერას და ხანდისხან ნისკარტით შუშას უკაკუნებდა. ოთახში უჩვეულო ამბავი ხდებოდა. ლოგინში იწვა ავადმყოფი ქალი, ხშირი სუნთქვა ამტკიცებდა, რომ დიდ სიცხეს მისთვის ხელი დაერია და შეეწუხებინა. გულის შემატკივრები ამხნევებდნენ სანუგეშო სიტყვებით, მაგრამ ავადმყოფი ამ სანუგეშო სიტყვებთან ერთად ცხადად კითხულობდა მათს თვალებში ფარულ შეშფოთებას და ნაღვლიანად უსმენდა, დაკვირვებით ყურს მიუგდებდა გულის გახშირებულ ძგერას, ხშირად სუსტ, გამხდარ მკლავებს მაღლა ასწევდა, თითქო სინჯავს ჯერ ხომ არ შეჩერებულა ძარღვის ცემა, ჯერ ხომ არ შემდგარა სისხლის მუშაობა და არა წყდება სიცოცხლეო! მკლავები სახსრებში მოშვებულიყვნენ და ლაფანისავით აქეთ-იქით აწყდებოდნენ. კრიჭაშეკრულს სიტყვის გამოთქმა უჭირდებოდა:

— მმ... მმ... მე... წაილუღლუღა რაღაც და თვითონვე შეკრთა, თვალები გაუგანიერდა, მიაჩერდა მკურნალს, თითქო უსიტყვოდ ეკითხებოდნენ:

— ეს რა მემართებაო?

— რა გინდათ სთქვათ, არ მესმის? უპასუხა მკურნალმა და ფიქრიანად შეხედა ავადმყოფს.

— აბა რა გინდათ? სთქვით! აჩქარებით და მხიარულად მიატანა მეორე მკურნალმა, რომელსაც ხელში მაჯა ეჭირა. მისმა მხიარულმა კილომ, სიცოცხლით და ჯან-ღონით აღსავსე სახემ მცირე ნუგეში აგრძნობინა ავადმყოფს, სიტყვის გამოთქმა კი მაინც გაუჭირდა, ნაღვლიანად მიავლ-მოავლო იქაურობას თვალი, ცხადად შენიშნა, რომ სიკვდილის აჩრდილი დაკრთოდა მის სხეულის ყოველ ნაკვთზე. ამ სიკვდილის აჩრდილს უფრო ცხადად ხედავდნენ მკურნალებიც, თვით სიკვდილის აჩრდილიც გრძნობდა, რომ სდევნიდნენ მას და ესეც არა ჩერდებოდა, დაჟინებით ერთის ნაკვთიდან მეორეზე გადადიოდა და გულშემატკივართ აშინებდა.

— მაშ მშვიდობით, სიცოცხლევ! გაიფიქრა ავადმყოფმა ამ გაფიქრებაზე ისევ შეკრთა, იქნება ენანებოდა ია და ვარდით მოფენილი აწმყო წარსული? არა! საშინელი და მძიმე მოსაგონებელი იყო ცხოვრების უკუღმართობა, გახშირებული გულის ძგერა აგონებდა თუ ცხოვრებასთან ბრძოლაში როგორ მისუსტებულიყვნენ გულის ძაფები და როგორ დღე და დღე ლამობდნენ სიმებსავით დაწყვეტას. არა, მას ეშინოდა სიკვდილის პირველი წამის დადგომისა. თანაც თავს ძალას ატანდა როგორც იყო დამშვიდებულიყო და მორჩილებით შეხვედროდა გარდუვალს.

— ცხოვრებამ ყველაფერი მაგრძნობინა, მისგან აწ რაღას მოველი? გაუელვა თავში ამ დროს ავადმყოფს.

ოთახში შემოსასვლელი ერთ-ერთი კარი ღია იყო, იქ ჩამდგარიყვნენ პაწია არსებანი და შემკრთალის დაღონებულის სახით შემოჰყურებდნენ. თვალები ფართედ გაეხილათ და გაოცებას ხატავდნენ, უყურებდნენ სახე შეშლილ საშიშარ დედას, რომელიც აღარ ჰგავდა წინანდელ მოალერსე არსებას, რომელიც მათ ფარვანასავით თავს ევლებოდა. ისინი თით[...] გრძნობდნენ, რომ შეუბრალებელი რაღაც ძალა აშორებ[...] მათ.

— რად არის დედა ისე? აკი ჩვენი დედა ლამაზი იყ[...] ის კი რად გაწითლებულა?

კიდევაც გაშავებულა? კითხულობდნენ ისინი.

— ჩვენ დედასთან გვინდა!..

— არა, დედა ავად არის... თქვენ იმასთან ვერ მიხვალთ[...] შეაწუხებთ... ეუბნებოდნენ და უკანა სწევდნენ.

ავადმყოფი მიაჩერდა მათ და შენიშნა, რომ ამ მოკლ[...] დროში როგორ გამხდარიყვნენ, გაფითრებულიყვნენ, მზრუ[...]ველი ხელი მოჰკლებოდათ. მათი თვალები ნაღვლიანად [...] საყვედურით შემოჰყურებდნენ... ავადმყოფს გულგვამში ცხლ[...] დაუარა რაღამაც და გულის კოვზთან მწვავად მოეკუმშა. მთ[...]ლი მისი არსება სასოწარკვეთილებამ მოიცვა.

— ღმერთო ჩემო! ვის ამარა რჩებიან საბრალოები? [...] თუ ვიღაც ფულით დაქირავებულს დედაკაცს, რომელსა[...] გულღვიძლი არ დასწვია მშობლიურის სიყვარულით, შეუ[...]ლიან დედის მაგიერობა?.. ვინ მიხვდება მათი სულის კვე[...]ბას, ან ვინ მოახერხებს იმათ უმანკო ცრემლების შეშრობ[...] თუ არა ისევ მშობელი, რომელიც ულმობელ სიკვდილს მი[...]ყავს!..

ავადმყოფი შეშფოთდა, იგრძნო რომ ამისი სიცოცხლ[...] კიდევ საჭირო იყო, ანგარიშ მიუცემლად გადმოიხარა მკუ[...]ნალისკენ და ორივ ხელები გაუწვდინა.

— ექიმო მიშველე, ვკვდები!.. ძალდატანებით ძლი[...] წარმოსთქვა მან... მკურნალმა ხელი მოჰკიდა მაჯაზე, მას მხი[...]რულ სახეზე ჩრდილმა გადაურბინა. ეს წლოვანებით ბევრი[...] უნცროსი იქმნებოდა ავადმყოფზე, მაგრამ სნეულებას ისე შ[...]ეკრა, შეებოჭა ქალი, ისე მიესუსტებინა, რომ მკურნალის წ[...] თითქმის ბავშვად გარდაქცეულიყო, უსუსურად იყურებოდ[...] მკურნალი კი თავგამოდებულ მზრუნველ მფარველად თა[...] დასდგომოდა, ამისი ფიქრი და გონება მოეცვა წრფელს, კაც[...] მოყვარულ გრძნობას, რომ ეშველა გაჭირვებულისთვის, ეხ[...] განსაცდელისგან და წარბ-შეკრული შებღვეროდა სიკვდილ[...] აჩრდილს, რომელიც წინანდელზე მეტად გათამამებული დაკ[...]თოდა ავადმყოფის სხეულზე.

— ნუ გეშინიანთ! მე თქვენ მოგარჩენთ!.. შეემა ამ დრო[...] მკურნალის მტკიცე სიტყვა. ამ სიტყვებმა ელექტრონივი[...] დაურბინა მთელს სხეულში და დაღონებული თვალები გ[...] უბრწყინდნენ, მადლობით დაუწყეს მხსნელს ყურება.

— მე თქვენ მოგარჩენთ, თუ თავს ხელს შეუწყობთ [...] ამ წამლებს თავთავის დროზე მიიღებთ. ეხლავე ნახვამდის! მკურნალები გავიდნენ. საწოლის ახლო პატარა მაგიდა სავს[...] იყო წამლების შუშებით, რომლებიც ერთი მეორესა სცვლ[...]და. ავადმყოფი მარტოდ დარჩა, გულის შემატკივრები წასუ[...]ლიყვნენ; თუმცა ოთახი ფართო იყო, მაგრამ ქალი მაინც ჰ[...]ერის სიცოტავესა გრძნობდა. სანათი აანთეს, დაქირავებუ[...] მომვლელი მიუახლოვდა და ღიმილით ჩაეკითხა.

— ხომ არა გნებავთ რაიმე?

მის დანახვაზე ავადმყოფს შიშის ჟრუანტელმა დაუარ[...] მთელს სხეულში, იგრძნო რომ დაქირავებული მომვლელ[...] მას გამოსარჩენ მასალად ხედავდა და აგრერიგად მისთვის გუ[...]ლი არ უწუხდებოდა. ეს ორი არსება ერთმანეთზე გულ[...]შორს იყვნენ, მაგრამ გარემოებას კი ერთი მეორის ხელში ჩაეგდო.

— გმადლობთ! არაფერი! მოკლედ და თავშემაგრებით უპასუხა ავადმყოფმა და გულში ენატრებოდა მალე მოსცლოდა ეს უსიამოვნო არსება, რომელიც ხარბად ამლიერებდა იქაურობას, რომ რითიმე ესარგებლნა. ავადმყოფი სრულიად მარტოდ დარჩა, მეორე ოთახიდან ხმა მაღლა ლაპარაკი მოისმოდა, ჭიქების წკრიალი, ეტყობოდა სიცოცხლე ჩვეულებრივად სდუღდა, აქ კი სიკვდილი ცოცხლეს ებრძოდა. ავადმყოფს მოეჩვენა, თითქო ოთახის ფერი შეცვლილიყო, თვალის მომჭრელი სინათლე გარშე[...] იფინებოდა. ჭერის კუთხეებიდან ღიმილით ჩამოჰყურ[...]ნენ თაიგულად შეკრული მწვანე ფოთლებში შეხვეულ[...] ვარდები და უღიმოდნენ. კედლებზე დასცურავდა მკრთო[...]ე, მოციმციმე რაღაც შუქი, რომელიც ჰღლიდა. სიცხის [...]ნჯმა ვერცხლის



ქართველი ლექტორი ქალი
ქ-ნი ჩიტო ქრისტინე შარაშიძე.

წყალი მაღლა ააცურა; ქალმა თვალები მოხუჭა, სუნთქვამ მოუხშირა. მაჯის და საფეთქლების ძარღვებმა იწყეს ჩქარ-ჩქარა ცემა... სხეულს შემოურბინა მედგარმა, განუსაზღვრელმა გრძნობამ, შებოჭა, გასუნთქა, დაიმონა. დრო და დრო ქალის სხეული კრთოდა რაღაც ძალდატანებისგან, გული უფრო გაშურებითა სძგერდა... დრო მიდიოდა, წუთები მძიმდებოდნენ, ყურში უცბად ჩამოჰკრა ზარმა, ზარის ხმა მომხიბვლელი და ამასთანავე საშიში იყო. ციური, მისი დიდი ხმოვანება ქალის მთელს სხეულს აჟრჟოლებდა. ზარის ხმას მოჰყვა მეორე ხმა და უცბად ყოველის მხრიდან ზარებმა ათასობით იწყეს რეკა... ესენი შესახედავად უჩინარნი იყვნენ, მაგრამ მრთელი სივრცე სამყაროსი აღვსილიყო უცნაურის ხმებით. ოთახის კედლები გამდგარიყვნენ, მოსჩანდა კამკამა ლურჯი ცა, გამჭვირვალე ჰაერი. ქალის გაოცებას სამზღვარი დაჰკარგოდა, გაწამებული შესცეცებოდა უჩვეულო სანახავს, ყურს მიუგდებდა საოცარ ხმებს. ამ სურათის ყურებით ქალის გონება იღლებოდა, ბურუსში ეხვეოდა, შემდეგ კვლავ ფხიზლდებოდა. ეტყობოდა ქალს მოსწყენოდა, არ უნდოდა მისი დანახვა, ცდილობდა ყურადღება მოეშორებინა, თითქო რიღასიც ეშინოდა, მაგრამ უხილავი ძალა ქიმუნჯსა სცემდა და სანახავს უპირდაპირებდა. ზარების გუგუნში აირია დაფდაფის შემაძრწუნებელი ხმა. ქალმა დაქანცული თვალები ძირს დახარა. ცა გუმბათად გადასდგომოდა მშვენიერ წალკოტს, რომლის გახშირებული ვარდ-ყვავილები დამატკბობელ სურნელებას ჰფენდნენ. ცამდის ამართული ლამაზი ხეები ტოტებით გადაშლილიყვნენ, გაისმოდა ბულბულების სტვენა, ყოველი მწერის ხმაურობა ირკვეოდა და შემდეგ ერთხმად, ერთ სურათად კუმშდებოდა. წალკოტში აქა-იქ ხის სკამები მოსჩანდნენ, მათზე ისხდნენ ფერიები, ხელში ეჭირათ საკრავები და სიმებს აჟღერებდნენ, თან იპკურებოდნენ შადრევნიდან ამონაჩქეფ მარგალიტას ცვარებით. ერთმანეთს ვერც კი ხედავდნენ, ვერ ამჩნევდნენ, ესენიც რაღაც დიდ ძალას გამოეწვია და უბრძანებდა ამ საერთო გუგუნში თავიანთი ჰანგიც შეეტანათ...

— ოოხ! ამოიკვნესა ამ დროს ავადმყოფმა, როდესაც იგრძნო, რომ მის გაონავრებულ სულს, რომელსაც უნდოდა ამ სანახავთან ახლოს მისვლა, დასუსტებული სხეული არ უშვებდა, უკანა სწევდა და აწამებდა.

— ოოხ! რა ცუდათა ვარ!.. ჩურჩულებდა ოდნავის გასაგონის ხმით ავადმყოფი და ხელებით ეპოტინებოდა იმ მესერს, რომელიც შუაზე ჰყოფდა ავადმყოფს და საუცხოვო სანახავს. ქალმა მოიხედა. მესერთან მომდგარიყო შავებში მოსილი მოხუცებული ქალი. მოხუცებულმა გაუღიმა და ხელი გამოართვა. ის დაკვირვებით სინჯავდა გამხდარს, თითქმის ძვალტყავად ქცეულ მკლავებს.

— ჰმ! ამისი პატრონი აქამდისაც რაღას ექიდებოდი ცასა და ქვეყანას? ეხლა კი უნდა ჩემთან წამოხვიდე და მოისვენო. იცი რა ადგილია ესა? ეს არის სიცოცხლის სამზღვარი! წარმოსთქვა მან დამშვიდებით. ქალს გააჟრჟოლა.

— რა იყო, შეშინდი? თავი გენანება?..

— თავი არ მენანება, მაგრამ...

— მაგრამ რა?..

— ჯერ კიდევ მადროვე...

ავადმყოფის თვალები გაბრწყინდნენ, პირდაპირ მიაჩერდნენ შავებით მოსილს, რომელმაც თავი ძირს დახარა.

— დასანანი ხომ არა გრჩებარა?

— კიდეც ეგ არის რომ ორი უდიდესი მოვალეობა მრჩება და იმიტომაც არ მინდა ჯერ სიკვდილი.

— მითხარი რაში მდგომარეობს ის ორი მოვალეობა?..

— სანამ გეტყოდე, უნდა ვიცოდე ვინა ხარ?

შავებით მოსილმა მაგრა მოუჭირა მკლავებზე ხელი და სახე ახლო მიუტანა.

— კარგა დამათვალიერე... მე ვარ სიკვდილის აჩრდილი!..

ქალი შეკრთა და თავი უკან გაიწია.

— რა?.. შეშინდი?.. საკვირველია! თითქო ჩემი კიდევაც გეშინიანთ, ხან კი მომინატრებთ ხოლმე!..

— ალბად გატანჯულ წამებს გამოუწვევიხარ, თორემ შენც ხანდისხან უსამართლოდ იქცევი. ზოგჯერ მიდიხარ იმასთან, ვისაც თავისი მოვალეობა ჯერ ვერ შეუსრულებია და ზოგს კი, რომელიც მომწამვლელი მუწუკია მთელის თაობისა, დღის სავალზე გაურბიხარ!..

— ეგ ჩემი ბრალი არ არის, ბუნების კანონია! სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ. მითხარი შენი პირველი მოვალეობა.

ქალს თვალებში ცრემლები წამოადგნენ.

— მე რომ ეხლა შენთან წამოვიდე, ობლად დამრჩებიან პაწაწინა შვილები, მათი ჩვილი, უმანკო ბუნება მოიწამლება სხვა და სხვა მავნე გარემოებისგან, რომელთაგან დღემდის იფარავს მშობელი და ერს შეეძინება თუ მძარცველი შემაწუხებელი არა, მისი გამათახსირებელი და პირქვე დამამხობელი მაინც. გული და გონება კი მთხოვს გამოვზარდო ისინი ღირსეულ მამულიშვილებად.

— ჰმ! ეგ პირველი... მეორე?.. ფიქრიანად, უფრო თვისთვის ჩაილაპარაკა მოხუცებულმა.

— მეორე?.. ის უდიდესი რამ არის... იმას ისე გაბედვით ვერ გეტყვი!

— თუ კი პირველი სთქვი?..



თავმჯდომარე წ.-კ., საზ. ბაქოს განყოფილების გამგეობისა
თ-დი ა. დადიანი.

— პირველი მარტო ჩემ ხელთ არის, მეორე კი უფრო რთულია, ძნელი.

— სთქვი. სულ ერთია მაინც ვიცი, მარტო შენგან მინდა მინდა გავიგონო.

— მაშ ახლო მოდი და გეტყვი:—ვხედავ რომ ქართველი ქილი ცოცხლდება, მინდა მის გაცოცხლებაში ჩემი წვლილიც შევიტანო.

ქალი თვითონვე შეკრთა თვის სიტყვაზე და ხარბად მიაჩერდა შავებში მოსილს.

— შენ თვითონ მომაკვდავმა გინდა სხვა გააცოცხლო? განა ამ დასუსტებულმა ჯანმა უნდა ზიდოს ეგ მძიმე მოვალეობა?..

— მუშტმა და ძალმომრეობამ თვისი დრო მოსჭამა. ეხლა გონება და სიყვარული მეფობს.

— იქნება გგონია ეგ გზა ია და ვარდით მოგიფინონ? შენიშნა ღიმილით შავებში მოსილმა.

— მეც ვიცი, რომ არა! მაგრამ მტკიცე რწმენა, სათნოება, ლმობიერება და სიყვარული გაიმარჯვებს. ამ დაუფასებელ საუნჯეს ვიპოვი ჩემს თანამოზიარეთა შორის, აღთქმულ ნაპირისკენ მშვიდობით გავალთ.

— ნაპირამდის მისვლამდე ზღვის აღელვებულმა ტალღამ რომ შემოგკრათ და ჩაგძიროთ?

— იმ ულმობელ ტალღებსაც შევებრძოლებით უკანასკნელ ძალამდე, თუ საჭირო იქნება თავსაც შევწირავთ!

— ხომ არ გავიწყდება, რომ ერთთან და ორთანა რომგიხდება საქმის დაჭერა?

— მეც ეგ მინდა. ერთსა და ორს ჩემთვის მნიშვნელობა დაჰკარგვია... ვეტრფი, თავს ვევლები მარტო იმ მხარეს, რომელმაც დამბადა, ვლოცულობ მის მომხიბვლელ ბუნებაზე, მის სამხატვრო მიდამოებზე, მინდა იმის შვილების საერთო გულში საუკუნო სავანე ავიგო, მთელი ერის გაჭირვების გამომხატველ ხმისთვის ჩემი სუსტი არსება წმინდა სანთელივით დავადნო. აი ერთი მისწრაფება და საგანი ჩემის სიცოცხლისა, ოღონდ მადროვე!

— როგორღა გინდა დაუხვდე ზოგიერთგან შეურაცყოფით და შურით გამოსროლილ ქვას, რომელიც მოგვხვდება და თქრიალით სისხლს წაგხეთქავს?!

— რა ვუყოთ! იმ სისხლს ერთის ხელით მოვიწმენდ და კვლავ შეუჩერებლივ წინ გავწევ! გეხვეწები მადროვე!

ავადმყოფს გულზე ხელები დაექდო, ვედრებით შესცქეროდა სიკვდილის აჩრდილს, რომელიც თავჩაღუნული ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებდა. კვლავ გარშემო დაფდაფის ხმა გაისმოდა, ბულბულები სტვენდნენ, ზარები ირეკებოდნენ. შავებში მოსილმა ქალმა ხელი გაუშვა ავადმყოფს, თითქო მორჩილებით წაილაპარაკა.

— კარგი! ეხლა ეგრე იყვეს, როგორც შენ გინდა და კვლავ მოვალ! გადგა უკან და ნელ-ნელა შორდებოდა. ქალს მისი უკანასკნელი სიტყვები აღარ შესმენია, რადგან სისუსტისგან ჩასთვლემოდა.

მეორე დღეს ბრწყინვალე მზის სხივები მხიარულად იყურებოდნენ ოთახის სარკმელში. გარეთ ამართული ნაძვის ხეები, შემოძარცული ბუნება ამ სხივების წყალობით სუბუქად სუნთქავდა, მოშორებადთ გუშინდელი შეწუხება და მხიარულად შეჰყურებდნენ ცას, რომელიც ჰპირდებოდა მალე გაზაფხულს. ოთახშიაც ავადმყოფის საწოლთან მხიარულის სახით იდგა მკურნალი, ქალის მაჯა ხელში ეჭირა და თამამად გაბედვით ეუბნებოდა:

— აკი გითხარით მოგარჩენთ მეთქი! მკურნალის კეთილ სახეზე იხატებოდა ალტაცება და კმაყოფილება გამარჯვებისა. დასუსტებული ქალი ღიმილით შეჰყურებდა თავის მხსნელს და აღარ იცოდა როგორ და რანაირად გადაეხადა მისთვის მადლობა. სიცხის საშინჯი ვერცხლის წყალს წითელ ზოლს ზევით აღარ უშვებდა, სიკვდილის აჩრდილი მოშორებოდა ავადმყოფის ნაკვთებს და მის ნაცვლად სიამოვნება ეფინებოდა სახეზე თუმცა კი ახსოვდა, რომ სიკვდილის აჩრდილი კვლავ მოვიდოდა.

**ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.**

გორი. 1914 წ. 20 იანვარს.



გაკოტრებულ თავადების „პრაქტიკული“ საქმიანობა.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი. გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.